

სასამართლო ექსპერტიზა

(სპეციალობაში „საოჯახო მედიცინა“ სერტიფიცირებული ექიმებისთვის)

(პროგრამის ხანგრძლივობა - 9 თვე)

მუხლი 1. სუბსპეციალობის პროგრამის მიზანი

„სასამართლო ექსპერტიზის“ (კლინიკური სასამართლო მედიცინის) სუბსპეციალობის პროგრამის მიზანია, მოამზადოს „საოჯახო მედიცინაში“ სერტიფიცირებული ექიმი სასამართლო სამედიცინო კლინიცისტ ექსპერტად, კლინიკური ანუ ცოცხალ პირთა სასამართლო სამედიცინო ექსპერტიზების ჩასატარებლად, რაც მოიცავს სხეულის დაზიანების ხასიათისა და სიმძიმის ხარისხის დადგენას, ჯანმრთელობის მდგომარეობის ექსპერტიზას, სქესობრივი მდგომარეობისა და სქესობრივ სფეროში ჩადენილი დანაშაულის ექსპერტიზებს.

მუხლი 2. სუბსპეციალობის პროგრამის ამოცანები

რა უნდა იცოდეს და რისი პრაქტიკული განხორციელება უნდა შეეძლოს პროგრამის დასრულების შემდეგ მაძიებელს; (უნდა იძლეოდეს სუბსპეციალობის აღწერილობით განსაზღვრული კომპეტენციების მიღწევის შესაძლებლობა).

1. „სასამართლო ექსპერტიზის“ (კლინიკური სასამართლო მედიცინის) სუბსპეციალობის პროგრამის ამოცანაა ისეთი სპეციალისტის მომზადება, რომელიც სრულყოფილად ერკვევა სხეულის დაზიანების ხასიათისა და სიმძიმის ხარისხის დადგენის კრიტერიუმებში, ჯანმრთელობის მდგომარეობის, სქესობრივი მდგომარეობისა და სქესობრივ სფეროში ჩადენილი დანაშაულის ექსპერტიზებთან დაკავშირებულ თეორიულ და პრაქტიკულ საკითხებში.

2. სასამართლო კლინიცისტი ექიმი უნდა ფლობდეს ცოდნას შემდეგი კანონების შესაბამისად:

- ⇒ საქართველოს კონსტიტუცია
- ⇒ საქართველოს კანონი „ჯანმრთელობის დაცვის შესახებ“
- ⇒ საქართველოს კანონი „საექიმო საქმიანობის შესახებ“
- ⇒ საქართველოს კანონი „პაციენტის უფლებების შესახებ“

- ⇒ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი
- ⇒ საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი
- ⇒ საქართველოს სამოქალაქო კოდექსი
- ⇒ საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს კანონქვემდებარე ნორმატიული აქტები სასამართლო სამედიცინო ექსპერტიზის განხრით
- ⇒ საქართველოს სხვა კანონები და კანონქვემდებარე ნორმატიული აქტები

3. „სასამართლო ექსპერტიზაში“ დამოუკიდებელი საექიმო საქმიანობის უფლების მქონე, სასამართლო კლინიცისტი ექიმს უნდა ჰქონდეს შემდეგი ზოგადი უნარ-ჩვევები:

- ა) სასამართლო სამედიცინო ექსპერტიზის ჩატარება საბაზისო და კლინიკურ ცოდნაზე დაფუძნებული გამოცდილების გამოყენებით;
- ბ) უჩვენოს შესაბამისი უნარ-ჩვევები იმ საექსპერტო ტექნიკის გამოყენებით, რომელსაც უნდა ფლობდეს კვალიფიციური სასამართლო ექიმი;
- გ) აჩვენოს კრიტიკული აზროვნების უნარი საექსპერტო გადაწყვეტილებების მიღებისას;
- დ) წარმართოს ეთიკური, იურიდიულად დასაბუთებული განსჯა, რაც შეეფერება მაღალი კვალიფიკაციის სასამართლო ექიმს;
- ე) ეფექტურად ითანამშრომლოს კოლეგებთან და სხვა სპეციალობის ექიმებთან;
- ვ) ასწავლოს და გაუზიაროს შეძენილი ცოდნა და პრაქტიკული გამოცდილება კოლეგებს, რეზიდენტებს, სტუდენტებს და ჯანდაცვის სფეროს სხვა მუშაკებს;
- ზ) აჩვენოს მზადყოფნა უწყვეტი პროფესიული განათლებისათვის, რაც ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მომენტია სასამართლო ექიმის კვალიფიკაციის მუდმივი ამაღლებისა და სრულყოფისათვის;
- თ) აჩვენოს სამეცნიერო კვლევების, ნაშრომების ადეკვატური აღქმისა და ინტერპრეტაციის უნარი, ამავდროულად თვითონაც შეეძლოს სამეცნიერო კვლევის წარმართვა ან მასში აქტიური მონაწილეობა.

4. სასამართლო სამედიცინო კლინიცისტი ექსპერტის **კომპეტენციას** მიეკუთვნება ცოცხალ პირთა - დაზარალებულის, ბრალდებულის ან სხვა პირების ექსპერტიზები, ასევე, მოქალაქეთა სასამართლო სამედიცინო შემოწმება სხეულის დაზიანების ხასიათის და სიმძიმის, ასაკის, სქესობრივი მდგომარეობისა და სხვა საკითხების დასადგენად; ექსპერტიზები სამოქალაქო და სისხლის სამართლის საქმის მასალებით.

მუხლი 3. სუბსპეციალობის პროგრამის აქტუალობის დასაბუთება

1. სასამართლო სამედიცინო ექსპერტთა საერთო რაოდენობა ქვეყანაში მცირეა და აღნიშნული სპეციალობა დეფიციტურია. სასამართლო სამედიცინო ექსპერტის მომზადება დიპლომისშემდგომი სრული პროგრამით (რეზიდენტურა) სამწლიანია და, პროგრამის აკრედიტაციის მიხედვით, შესაძლებლობას იძლევა სამი წლის განმავლობაში მომზადდეს მხოლოდ 8 ახალი სპეციალისტი, რაც სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზის სფეროს ყოველწლიურ მოთხოვნას სპეციალისტების რაოდენობაზე ვერ აკმაყოფილებს. განსაკუთრებით დიდია მოთხოვნა „სასამართლო ექსპერტიზაში“, კლინიკური სასამართლო სამედიცინო ექსპერტიზის მიმართულებით, სადაც შესაძლებელია დასაქმდეს შედარებით მოკლევადიანი პროგრამის შესაბამისად გადამზადებული ექიმი.

2. სუბსპეციალობაში „სასამართლო ექსპერტიზა“ ექსპერტების მომზადება გადაჭრის კლინიკური სასამართლო სამედიცინო ექსპერტიზების ქვეყნის მასშტაბით ჩატარების გეოგრაფიულ ხელმისაწვდომობას და შესაძლებელს გახდის კლინიკური სასამართლო სამედიცინო ექსპერტიზების დროულ ჩატარებას ქვეყნის ყველა რეგიონში/მუნიციპალიტეტში. 9-თვიანი პროგრამით მომზადებული ექსპერტები შეძლებენ ყველა იმ კლინიკური საკითხის გადაჭრას, რაც აღიძვრება იურიდიული ორგანოების წინაშე გამოძიების პროცესში სისხლის სამართლის ან სამოქალაქო საქმეების განხილვის დროს.

მუხლი 4. სუბსპეციალობის პროგრამის შინაარსი

ასათვისებელი თეორიული ცოდნისა და პრაქტიკული უნარ-ჩვევების ჩამონათვალი.

1. სასამართლო კლინიცისტი ექიმი უნდა ფლობდეს თავის სფეროში პროფესიული საქმიანობისთვის საჭირო თეორიულ და პრაქტიკულ ჩვევებს:

01.00.00. სასამართლო სამედიცინო ექსპერტიზის საპროცესო და ორგანიზაციული საკითხები.

01.01.00. სასამართლო სამედიცინო ექსპერტიზის ჩატარების ძირითადი ნორმები სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მიხედვით.

01.02.00. სასამართლო სამედიცინო ექსპერტიზის ჩატარების ორგანიზაცია.

01.03.00. სასამართლო სამედიცინო ექსპერტის დასკვნის გაფორმება.

01.04.00. შემოწმების ოქმის გაფორმება.

01.05.00. საქართველოში სასამართლო სამედიცინო ექსპერტიზის სამსახურის სტრუქტურა.

08.00.00. ცოცხალ პირთა სხეულის დაზიანების სასამართლო სამედიცინო ექსპერტიზა.

08.01.00. სხეულის დაზიანების სიმძიმის ხარისხის სასამართლო სამედიცინო ექსპერტიზა.

08.01.01. სხეულის დაზიანების სიმძიმის ხარისხის განსაზღვრა საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის მიხედვით.

08.01.02. საკითხები, რომლებიც შესაძლებელია გადაწყვეტილ იქნას ექსპერტის მიერ სხეულის დაზიანების სიმძიმის ხარისხის სასამართლო სამედიცინო ექსპერტიზის დროს.

08.01.03. სხეულის დაზიანების სიმძიმის ხარისხის განსაზღვრის წესები.

08.01.04. სხეულის მძიმე, ნაკლებად მძიმე და მსუბუქი ხარისხის დაზიანების საექსპერტო კრიტერიუმები.

08.01.05. სხეულის დაზიანების თავისებურებანი ცემისა და წამების დროს.

09.00.00. ცოცხალ პირთა სასამართლო სამედიცინო ექსპერტიზის სხვა სახეები.

09.01.00. სქესობრივი მდგომარეობები და სქესობრივი დანაშაული.

09.01.01. სქესობრივი მდგომარეობებისა და სქესობრივი დანაშაულის სასამართლო სამედიცინო ექსპერტიზის ჩატარების თავისებურებანი.

09.01.02. სქესობრივი მდგომარეობის ექსპერტიზა.

09.01.03. სქესობრივი სიმწიფის განსაზღვრა.

09.01.04. სქესობრივი შეუღლების უნარის დადგენა მამაკაცებში.

09.01.05. ქალწულობის დადგენა.

09.01.06. სქესობრივი შეუღლების ფაქტის დადგენა.

09.01.07. განაყოფიერების უნარის დადგენა.

09.01.08. ჩასახვის უნარის დადგენა.

09.01.09. ორსულობის დადგენა. გადატანილი მშობიარობისა და აბორტის დადგენა.

09.01.10. კრიმინალური აბორტი და მისი გამომწვევი საშუალებების დადგენა.

09.01.11. გაუპატიურების სასამართლო სამედიცინო ექსპერტიზა.

09.01.12. გარყვნილი ქმედების სასამართლო სამედიცინო ექსპერტიზა.

09.01.13. სასამართლო ვენეროლოგიური ექსპერტიზა.

09.02.00. საერთო შრომისუნარიანობის მყარი დაკარგვის ხარისხის განსაზღვრა.

09.03.00. ჯანმრთელობის მდგომარეობის სასამართლო სამედიცინო ექსპერტიზა.

09.04.00. ასაკის დადგენის სასამართლო სამედიცინო ექსპერტიზა.

11.00.00. სასამართლო სამედიცინო ექსპერტის მონაწილეობა სასამართლოს სხდომებზე.

11.01.00. სასამართლო სამედიცინო ექსპერტის მონაწილეობა სასამართლოს სხდომებზე სისხლის სამართლის საქმის განხილვისას.

11.02.00. სასამართლო სამედიცინო ექსპერტის მონაწილეობა სასამართლოს სხდომებზე სამოქალაქო საქმის განხილვისას.

12.00.00. საქმის მასალებით სასამართლო სამედიცინო ექსპერტიზისას საექსპერტო კომისიის მუშაობის თავისებურებანი.

12.01.00. დასწრება კომისიის სხდომაზე სისხლის სამართლის რთული საქმის მასალებით სასამართლო სამედიცინო ექსპერტიზისას.

12.02.00. დასწრება კომისიის სხდომაზე საექიმო საქმის მასალებით სასამართლო სამედიცინო ექსპერტიზისას.

13.00.00. სასამართლო სამედიცინო ექსპერტიზის სამსახურის ლაბორატორიების საქმიანობის გაცნობა.

13.02.00. სასამართლო ბიოლოგიური ლაბორატორიის საქმიანობის გაცნობა.

13.05.00. სასამართლო დნმ ლაბორატორიის საქმიანობის გაცნობა.

2. შესასრულებელი მანიპულაციების/ოპერაციების ჩამონათვალი

№	მანიპულაცია/ოპერაცია/უნარ-ჩვევა	რაოდენობა
1.	დასწრება ცოცხალი პირის გამოკვლევაზე	20
2.	დასწრება სასამართლოს სხდომებზე	3
3.	დასწრება საექსპერტო კომისიის სხდომაზე	5
4.	ცოცხალი პირის გამოკვლევა	30
5.	მონაწილეობა საექსპერტო კომისიის მუშაობაში	5
6.	ექსპერტის დასკვნის გაფორმება	30
7.	სასამართლო სამედიცინო ექსპერტიზის ჩატარება	20

მუხლი 5. სასწავლო პროცესის აღწერა და შეფასება

მოდული 1. კლინიკური სასამართლო მედიცინა

მოდულის განმხორციელებელი დაწესებულება:

თსსუ სასამართლო მედიცინის დეპარტამენტი

1. მოდულის ხანგრძლივობა - 4 კვირა – 24 დღე, 144 საათი.

2. მოდულის მიზანია - სუბსპეციალობის პროგრამის მსმენელს მისცეს საფუძვლიანი თეორიული განათლება სასამართლო მედიცინაში და შექმნას წინაპირობა კლინიკური სასამართლო სამედიცინო ექსპერტიზის საფუძვლების პრაქტიკულად შესწავლისათვის.

3. მოდულის ამოცანებია: სუბსპეციალობის პროგრამის მსმენელს მიაწოდოს ოპტიმალური, თანამედროვე ინფორმაცია იმ კლინიკური სამედიცინო-ბიოლოგიური საკითხების შესახებ, რომელიც აღიძვრება სამართალდამცავი ორგანოების წინაშე გამოძიების ან სასამართლოს მიმდინარეობის პროცესში სისხლის სამართლის ან სამოქალაქო საქმეების განხილვის დროს; მისცეს თეორიული ცოდნა სასამართლო სამედიცინო ექსპერტიზის საპროცესო საფუძვლების, სასამართლო სამედიცინო ტრავმატოლოგიის, ცოცხალ პირთა ექსპერტიზის, ბიოლოგიურ ნივთმტკიცებათა ექსპერტიზისა და სასამართლო სამედიცინო დეონტოლოგიის შესახებ.

4. შესასრულებელი სამუშაოს მოცულობა და სწავლების მეთოდები:

კვირა	საათი	თეორიული კურსი	უნარ-ჩვევები	სწ. მეთოდი
1.	18	სასამართლო მედიცინის საგანი და მისი განვითარების ისტორია. სასამართლო სამედიცინო ექსპერტიზის საპროცესო საფუძვლები, მისი ორგანიზაცია და სტრუქტურა. სასამართლო სამედიცინო დეონტოლოგია.	სასამართლო სამედიცინო დოკუმენტაციის შედგენა	აქტის შევსება
2.	54	სასამართლო-სამედიცინო ტრავმატოლოგია. ტრავმატიზმის სახეები. მექანიკურ დაზიანებათა კლინიკო-მორფოლოგიური ფორმები. მკვრივი ბლაგვი საგნებით მიყენებული დაზიანებები. სიმაღლიდან ვარდნა და ვარდნა სიბრტყეზე. მახვილი იარაღით მიყენებული დაზიანებები.	დაზიანებების აღწერა; სხეულის დაზიანების სიმძიმის	დაზიანებები ს აღწერა მულაჟებზე;

		ცოცხალ პირთა სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზა. სხეულის დაზიანების სიმძიმის ხარისხის განსაზღვრა. თვითდაზიანება. ხელოვნურად გამოწვეული მდგომარეობანი. გვემა და წამება.	ხარისხის განსაზღვრა	სიტუაციური ამოცანების ამოხსნა
3.	36	დაზიანებები სატრანსპორტო საშუალებებით. სპეციფიკური, დამახასიათებელი და არადამახასიათებელი დაზიანებები. ცეცხლსასროლი იარაღით მიყენებული დაზიანებები. ცეცხლსასროლი ჭრილობის დიაგნოსტიკა. შესავალი და გამოსავალი ხვრელი. ჭრილობის არხი. სროლის მანძილის განსაზღვრა. ფუჭი მუხტი. ფეთქებადი იარაღით მიყენებული დაზიანებები. ჯანმრთელობის მოშლა და სიკვდილი ზოგიერთი ფიზიკური ფაქტორის მოქმედებით. უკიდურესად მაღალი და დაბალი ტემპერატურის, ელექტრო დენის, დაბალი და მაღალი ატმოსფერული წნევის, სხივური ენერჯის მოქმედებით განვითარებული დაზიანებები.	დაზიანებების აღწერა; სხეულის დაზიანების სიმძიმის ხარისხის განსაზღვრა	დაზიანებების აღწერა მულაჟებზე; სიტუაციური ამოცანების ამოხსნა
4.	36	საექვო სქესობრივი მდგომარეობა და სქესობრივ სფეროში ჩადენილი დანაშაული. სქესობრივი კავშირის ფაქტის დადგენა. სქესობრივი სიმწიფისა და სქესის დადგენა. ორსულობა და აბორტი. დეფლორაცია. გაუპატიურება. გარყვნილი ქმედება. გაუკუღმართებული სქესობრივი კავშირი. ნივთმტკიცებათა სასამართლო სამედიცინო ექსპერტიზა. სისხლი, თესლის, ოფლის, ნერწყვის, შარდის, თმის, ძვლის და სხვა ბიოლოგიური წარმოშობის ობიექტების გამოკვლევა. ასაკის დადგენა.	დამატებითი გამოკვლევისათვის ბიოლოგიური მასალის აღება	სიტუაციური ამოცანების ამოხსნა; პრეზენტაცია

5. მოდულის შეფასების მეთოდები

№	შეფასების კომპონენტი	ქულა	რაოდენობა	მაქს. ქულა
1.	აქტის შევსება	5	1	5
2.	დაზიანებების აღწერა მულაჟებზე	5	4	20
3.	სიტუაციური ამოცანების ამოხსნა	5	6	30
4.	პრეზენტაცია	5	1	5
5.	ჩათვლა ტესტებით	40	1	40
	საბოლოო შეფასება	-	-	100

სასამართლო მედიცინის მოდული ჩაბარებულად ითვლება, თუ სტუდენტი დააგროვებს **90 ქულას**.

მოდული 2. კლინიკური სასამართლო სამედიცინო ექსპერტიზა

მოდულის განმხორციელებელი დაწესებულებები:

- ა) თსსუ სასამართლო მედიცინის დეპარტამენტი;
- ბ) სსიპ - ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს სამედიცინო ექსპერტიზის სამსახური.

1. მოდულის ხანგრძლივობა – 32 კვირა – 192 დღე, 1152 საათი.

2. მოდულის მიზანია – მოამზადოს საფუძვლიანი თეორიული და პრაქტიკული ცოდნით აღჭურვილი სპეციალისტი – სასამართლო კლინიცისტი ექიმი.

3. მოდულის ამოცანებია:

ა) სუბსპეციალობის პროგრამის მსმენელმა მიიღოს ცოდნა: ყველა იმ კლინიკური სამედიცინო-ბიოლოგიურ საკითხის შესახებ, რომელიც აღიძვრება იურიდიული ორგანოების წინაშე გამოძიების პროცესში სისხლის სამართლის ან სამოქალაქო საქმეების განხილვის დროს;

ბ) სუბსპეციალობის პროგრამის მსმენელმა შეიძინოს **უნარი** და **შეძლოს** დამოუკიდებლად ჩაატაროს სხვადასხვა სახის სასამართლო სამედიცინო ექსპერტიზა, შეადგინოს ექსპერტის დასკვნა, მონაწილეობა მიიღოს საკომისიო და კომპლექსურ ექსპერტიზებში და გააფორმოს შესაბამისი

დოკუმენტაცია, თავისი კომპეტენციის ფარგლებში კვალიფიციურად და ეფექტურად დაეხმაროს იურიდიულ ორგანოებს გამოძიების პროცესში სისხლის სამართლოსა და სამოქალაქო საქმეების განხილვის დროს.

4. შესასრულებელი სამუშაოს მოცულობა მოცემულია ცხრილის სახით:

როტაცია / დავალება	ხანგრძლივობა	უნარ-ჩვევები
<p><u>სასამართლო-სამედიცინო ბიოლოგიის როტაცია</u></p> <ul style="list-style-type: none"> • სასამართლო სამედიცინო სეროლოგიის და დნმ ლაბორატორიების მუშაობის გაცნობა; • ლაბორატორიების აღჭურვილობის და მათი შესაძლებლობების გაცნობა; • დასწრება სასამართლო სეროლოგიური და დნმ გამოკვლევების ჩატარებისას; • დასწრება სასამართლო სამედიცინო ბიოლოგიურ ექსპერტიზებზე. 	<p>3 დღე 18 საათი</p>	<p>სწორად და დროულად აიღოს ბიოლოგიური ნიმუშები სეროლოგიური და დნმ გამოკვლევებისათვის ლაბორატორიაში გასაგზავნად; სწორი ინტერპრეტაცია გაუკეთოს სეროლოგიური და დნმ გამოკვლევების შედეგებს</p>
<p><u>კლინიკური (ცოცხალ პირთა) ექსპერტიზის როტაცია</u></p> <ul style="list-style-type: none"> • ცოცხალ პირთა სხეულის დაზიანების სასამართლო სამედიცინო ექსპერტიზაზე დასწრება; • ცოცხალ პირთა სასამართლო სამედიცინო ექსპერტიზის სხვა სახეებზე დასწრება; • სქესობრივი მდგომარეობებისა და სქესობრივი დანაშაულის სასამართლო სამედიცინო ექსპერტიზაზე დასწრება; • სასამართლო სამედიცინო-გინეკოლოგიურ ექსპერტიზაზე დასწრება; • სასამართლო ვენეროლოგიურ ექსპერტიზაზე დასწრება; • ცოცხალი პირის გამოკვლევა; • მონაწილეობა საექსპერტო კომისიის მუშაობაში; • დასწრება სასამართლოს სხდომებზე; • ექსპერტის დასკვნის გაფორმება. 	<p>189 დღე, 1134 საათი</p>	<p>აითვისოს და ჩაატაროს კლინიკური სასამართლო სამედიცინო ექსპერტიზა; შეადგინოს ექსპერტის დასკვნა; მონაწილეობა მიიღოს საკომისიო და კომპლექსურ ექსპერტიზებში და გააფორმოს შესაბამისი დოკუმენტაცია.</p>

5. შესასრულებელი მანიპულაციების/ოპერაციების ჩამონათვალი და შეფასება

№	მანიპულაცია/ოპერაცია/უნარ-ჩვევა	ქულა	რაოდენობა	ჯამური ქულა
1.	დასწრება ცოცხალი პირის გამოკვლევაზე	1	20	20
2.	დასწრება სასამართლოს სხდომებზე	1	3	3
3.	დასწრება საექსპერტო კომისიის სხდომაზე	1	5	5
4.	ცოცხალი პირის გამოკვლევა	2	50	100
5.	მონაწილეობა საექსპერტო კომისიის მუშაობაში	2	5	10
6.	ექსპერტის დასკვნის გაფორმება	2	30	60
7.	სასამართლო სამედიცინო ექსპერტიზის ჩატარება	2	20	40
	<i>სულ</i>	-	133	238

სასამართლო სამედიცინო ექსპერტიზის მოდული ჩაბარებულად ითვლება, თუ სტუდენტი დააგროვებს 220 ქულას.

მუხლი 6. სასწავლო ლიტერატურის ჩამონათვალი

1. კილასონია ბ.ნ.: სასამართლო მედიცინა. თბილისი, 2020
2. გორდელაძე თ.დ.: სასამართლო მედიცინა. თბილისი, 2001
3. შანიძე ვ.ს.: სასამართლო მედიცინა. თბილისი, 1970
4. სასამართლო სამედიცინო ექსპერტიზის ჩატარებისა და შესაბამისი სამედიცინო პერსონალის საქმიანობის წესის შესახებ კანონქვემდებარე ნორმატიული აქტი. 2006წ
5. Payne-James J et al: Simpson's Forensic Medicine, 14th ed, 2020.
6. Siegal J., Knupfer G., Saukko P.: Encyclopedia of Forensic Sciences. USA-UK-Finland, 2000
7. Stark M.M.: Clinical Forensic Medicine – A Physician's Guide, 2nd ed., USA, 2005
8. Крюков В.Н.: Судебная медицина. 2008
9. Томилин В.В., Пашимян Г.А.: Руководство по судебной медицине. 2001
10. www.forensicmed.co.uk

მუხლი 7. საერთაშორისო წყაროები, რომლების შესაბამისადაც მომზადდა სუბსპეციალობის პროგრამა

- Postgraduate education in clinical forensic medicine: a graduate diploma - <https://pubmed.ncbi.nlm.nih.gov/15335517/>
- Staffordshire University Courses in Forensic Science – [https://search.staffs.ac.uk/s/search.html?collection=staffordshire-coursetitles&sort=title&f.Subject|Category=forensic%20science&f.Level|V=postgraduate%20\(taught\)](https://search.staffs.ac.uk/s/search.html?collection=staffordshire-coursetitles&sort=title&f.Subject|Category=forensic%20science&f.Level|V=postgraduate%20(taught))
- Queen Mary University of London Program in Forensic Medical Sciences - <https://www.postgraduatesearch.com/queen-mary-university-of-london/52393324/postgraduate-course.htm>
- University College Dublin: Forensic Medicine - <https://www.postgrad.com/university-college-dublin-school-of-medicine-and-medical-science-forensic-medicine/course/>
- Monash University Forensic Medicine - <https://www.vifm.org/wp-content/uploads/MFM-Clinical-Forensic-Medicine-Stream.pdf>
- Different Programs in Forensic Medicine - <https://www.hotcoursesabroad.com/study/training-degrees/international/postgraduate/forensic-medical-studies-courses/slevel/3/cgory/pb.51-4/sin/ct/programs.html>

მუხლი 8. მოთხოვნები სუბსპეციალობის პროგრამის განმახორციელებელი დაწესებულებებისადმი/სასწავლებლებისადმი

1. პროგრამის განხორციელებაში მონაწილე პასუხისმგებელ პირზე უნდა მოდიოდეს:

- კლინიკური სასამართლო მედიცინის მოდულში - ერთ ხელმძღვანელზე ათი (10) მაძიებელი;
- კლინიკური სასამართლო სამედიცინო ექსპერტიზის მოდულში - ერთ ხელმძღვანელზე ოთხი (4) მაძიებელი.

2. სამედიცინო დაწესებულების/სასწავლებლის დატვირთვა სუბსპეციალობის მაძიებელზე გაანგარიშებით 9 თვეში უნდა შეადგენდეს:

№	მანიპულაცია/გამოკვლევა	1 მაძიებელი	3 მაძიებელი	12 მაძიებელი
1.	ცოცხალი პირის ექსპერტიზა	70	70	280
2.	კომისიური ექსპერტიზა	10	10	40